

საიდ. N81516/03

IR1240494

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N64-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, თ. კველიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „ჯოინტ სტოკ კომპანი „იასნაია პოლიანა“ (Joint Stock Company „Yasnaya Polyana“) N64-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 15 თებერვლის N330/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „крекер ФЕРМЕРСКИЙ“

(საიდ. N81516/03, IR1240494) დაცვის მინიჭება საქართველოში განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ (30-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 15 თებერვლის N330/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „крекер ФЕРМЕРСКИЙ“ (საიდ. N81516/03, IR1240494) უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე საქართველოში, ვინაიდან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართულად ითარგმნება, როგორც „ფერმერული კრეკერი“, ხოლო ნიშანი განცხადებულია 30-ე კლასის საქონლის, კერძოდ, კრეკერის მიმართ. განცხადებულ ნიშანში შემავალი სიტყვიერი ელემენტები პირდაპირ მიუთითებს საქონლის სახეობასა და ხარისხზე, შესაბამისად იგი აღწერილობითია განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „крекер ФЕРМЕРСКИЙ“ (საიდ. N81516/03, IR1240494) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის

პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში.

აპელანტი, კომპანია „ჯოინტ სტოკ კომპანი „იასნაია პოლიანა“ (Joint Stock Company „Yasnaya Polyana“) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ორი სიტყვიერი ნაწილისაგან, რომელთაგან პირველი - „крекер“ უცხო სიტყვათა ლექსიკონის თანახმად, ითარგმნება, როგორც თხელი, ხმელი ნამცხვარი, ხრამუნა პური, კარტოფილი, შემწვარი სიფრიფანა ფირფიტების სახით (ჩიფსის მსგავსი). აპელანტის პოზიციით, გამომდინარე იქედან, რომ სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება 30-ე კლასის საქონლის ერთადერთი ნაირსახეობის - კრეკერის მიმართ, მოულოდნელი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ სასაქონლო ნიშნის დასახელების პირველი სიტყვა იდენტურია საქონლის ჩამონათვალის იმ ერთადერთი ნაირსახეობისა, რისთვისაც მოითხოვება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის საქართველოში დაცვა. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში სიტყვიერი ნაწილი „крекер“ დისკლამირებულია და მასზე არ მოითხოვება დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭება. ამასთან, განცხადებულ ნიშანში აღნიშნული სიტყვიერი ნაწილი შესრულებულია გაცილებით უფრო მცირე შრიფტით, ვიდრე ნიშნის მეორე სიტყვიერი ელემენტი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სიტყვას „крекер“, როგორც სასაქონლო ნიშნის ერთ-ერთ ნაკლებმნიშვნელოვან ელემენტს, არ ეკისრება ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის უზრუნველყოფის მთავარი ტვირთი.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვა „ФЕРМЕРСКИЙ“ ქართულ ენაზე ითარგმნება როგორც: „ფერმის“, „ფერმერული“, „საფერმერო“ და ა.შ. განცხადებულ ნიშანში უმთავრესად სწორედ ამ ელემენტს ენიჭება ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის ფუნქცია და ამდენად, ნიშნის დასახელებაში ის დომინანტ როლს თამაშობს, ამიტომაც იგი გაცილებით უფრო

მსხვილი შრიფტითაა შესრულებული. ამასთან, მომხმარებელზე საერთო შთაბეჭდილების მოხდენა ამ ორივე სიტყვიერი ელემენტის ერთობლიობით ხდება.

აპელანტის პოზიციით, სიტყვა „ФЕРМЕРСКИЙ“ არ მიუთითებს საქონლის სახეობაზე, ხარისხზე, რაოდენობაზე, თვისებაზე, ღირებულებაზე, დანიშნულებაზე, გეოგრაფიულ წარმოშობაზე, გასაღების ადგილსა თუ დროზე ან საქონლის სხვა რაიმე მახასიათებელზე, რადგან კრეკერი, როგორც კვების მრეწველობის პროდუქტი, ფერმაში არ იწარმოება და არც ფერმისთვისაა განკუთვნილი. ამდენად, ეს სიტყვა წარმოადგენს ნიშნის არა აღწერილობით, არამედ ფანტაზიურ ელემენტს. ასეთივე დანიშნულებით ნიშნის დასახელებაში შეიძლება ყოფილიყო კრეკერი ქალაქის/მთის/ბარის/ზღვის/სოფლის/აგარაკის და ა.შ.

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშანების დასახელებაში ანალოგიური, აღწერილობითი სიტყვების არსებობის არაერთი მაგალითი არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მაგალითად: „ДАЧНОЕ“ (M2014, 24839R, 30-ე და 43-ე კლასებისთვის), რომელიც რუსული ენიდან ქართულად ითარგმნება, როგორც სააგარაკო, აგარაკის და ა.შ. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ საკვები პროდუქტები, რისთვისაც ნიშანია რეგისტრირებული აგარაკზე, აგარაკისათვის ან მოაგარაკეთათვის იწარმოება ან/და შესაბამისი კლასით განსაზღვრული მომსახურება მხოლოდ აგარაკზე წარმოებს; „COFFEE REPUBLIC“ (M2015, 25976R, 30-ე და 43-ე კლასებისათვის), რომელიც ინგლისური ენიდან ქართულად ითარგმნება, როგორც ყავა/ყავის რესპუბლიკა; „ქინდერ შოკოლადი“ (M2015, 26027R, 30-ე კლასისთვის), ასევე, „ქინდერ შოკოლად КИНДЕР ШОКОЛАД“ (M1999, 12344 R1, 29-ე და 30-ე კლასებისათვის). „ქინდერ“ ინგლისურ ენაზე ბავშვს, საბავშვოს ნიშნავს, მაგრამ ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ შოკოლადი მხოლოდ ბავშვებისთვისაა განკუთვნილი; „CRAZY BREAD“ (M2016, 26922R, 30-ე კლასისთვის), რომელიც ინგლისური ენიდან ქართულად ითარგმნება, როგორც შეშლილი, გიჟი, სულელი პური. ცხადია ეს არ ნიშნავს, რომ ამ ნიშნით მონიშნული საქონელი გიჟებისთვის, გიჟების მიერ ან საგიჟეთში იწარმოება; „ევრო პროდუქტი Euro Product“ (M2016,

27099R, 29-ე, 30-ე, 35-ე და 39-ე კლასებისათვის); „კრეკერ ბარრელ CRACKER BARREL“ (M1995, 1254R1, 29-ე და 30-ე კლასებისათვის), რომელიც ინგლისურ და რუსულ ენებზეა შესრულებული და ქართულად ითარგმნება, როგორც „კრეკერი კასრი“ ან „კრეკერი კასრისებრი“, რაც მიუთითებს კრეკერის ნაჭრების ფორმაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული ნიშანი არ ყოფილა ექსპერტის მიერ მიჩნეული აღწერილობით ნიშნად.

აპელანტის მითითებით, ჩამოთვლილი სასაქონლო ნიშნები განცხადებული სასაქონლო ნიშნის მსგავსად შეიცავენ ორ სიტყვიერ ელემენტს, რომელთა ერთიანობა ექმნის ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 15 თებერვლის N330/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანისთვის „крекер ФЕРМЕРСКИЙ“ (საიდ. N81516/03, IR1240494) დაცვის მინიჭებას საქართველოში განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №64-03/16) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან/და მიჩნეულია ასეთად“.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „крекер ФЕРМЕРСКИЙ“ (საიდ. N81516/03, IR1240494) არ წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე, სტანდარტული ასოებით, სადაც მეორე სიტყვიერი ელემენტი „ФЕРМЕРСКИЙ“ შესრულებულია ასომთავრულად. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი რუსულიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ფერმერული კრეკერი“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ აღწერს 30-ე კლასის განცხადებულ საქონელს, ვინაიდან არ არის დაკავშირებული საქონლის ისეთ მახასიათებლებთან, როგორცაა, საქონლის სახეობა, ხარისხი, რაოდენობა, თვისება, ღირებულება, დანიშნულება, გეოგრაფიული წარმოშობა, გასაღების ადგილი და დრო.

განცხადებული სასაქონლო ნიშნის დომინანტი ელემენტია სიტყვიერი ნაწილი „ФЕРМЕРСКИЙ“, რომელიც განცხადებული საქონლის წარმოებაში არ გამოიყენება, როგორც საქონლის ხარისხის, სახეობის ან სხვა მახასიათებლების მიმანიშნებელი ტერმინი. შესაბამისად, ნიშანი განცხადებული საქონლისათვის ფანტაზიურია. ამასთან, განცხადებულ ნიშანში არსებულ სიტყვიერ აღნიშვნას „крекер“ არ ენიჭება დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნისთვის „крекер ФЕРМЕРСКИЙ“ (საიდ. N81516/03, IR1240494) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული

სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჯოინტ სტოკ კომპანი „იასნაია პოლიანა“ (Joint Stock Company „Yasnaya Polyana“) სააპელაციო საჩივარი (N64-03/16) დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 15 თებერვლის N330/03 ბრძანება.
3. სასაქონლო ნიშანს „крекер ФЕРМЕРСКИЙ“ (საიდ. N81516/03, IR1240494) მიენიჭოს დაცვა საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

თ. ჯაფარიძე

ს. ებრაელიძე